არქიტექტური, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის სტუდენტთა და პედაგოგთა წარმატება

არქიტექტურული პრემია 2018

2018 წლის 15 დეკემბერს სასტუმრო „ბილტმორში“ გაიმართა „არქიტექტურული პრემია 2018“ – ის დაჯილდოვება. „არქიტექტურული პრემია 2018“ საქართველოს არქიტექტორტა ასოციაციის და ჟურნალ „სტილის“ მიერ ყოველწლიურად იმართება და მისი მიზანია წლის საუკეთესო პროექტის გამოვლენა სხვადასხვა ნომინაციებში.

ნომინაცია **„სტუდენტური პროექტი“** დაჯილდოვდა არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის მაგისტრანტი დავით კომახიძე. კონკურსზე მის მიერ წარდგენილი იყო სამაგისტრო დამასრულებელი ნაშრომი თემაზე: შ. რუსთაველის სახელობის საერთაშორისო აეროპორტი ქ. თბილისში“(ხელმძღვანელი ნ. იმნაძე).

ნომინაცია: რესტავრაცია–რეკონსტრუქცია გაიმარჯვა სტუ–ს არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის პედაგოგმა ვასილ ქობულიამ პროექტში: მრავალფუნქციური

შენობა არსებული ისტორიული შენობის აწევა რეკონსტრუქცია. მდებარეობა: იალბუზის ქუჩა ქ. თბილისი. ავტორები:ქობულიები და პარტნიორები. არქიტექტორ რესტავრატორი ნანა ინწკირველი; ხელოვნებათმცოდნე: ლალი ანდრონიკაშვილი.

განსაკუთრებული წვლილისთვის არქიტექტურაში ჯილდო გადაეცა სტუ–ს არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის პროფესორს, ემირიტუსის საპატიო წოდების მფლობელს ქალბატონ ნანული თევზაძეს.

სხვადსხვა ნომინაციებში (ნომინაცია: საზოგადოებრივი ინტერიერი, რეალიზებული საცხოვრებელი სახლი და საზოგადოებრივი შენობა) ასევე გაიმარჯვეს და გადაეცათ დიპლომები ჩვენი ფაკულტეტის კურსდამთავრებულებს ნინო ჭანტურიას და ლუკა ჩგანავას სტუდია: NS STUDIO

ასევე ნატალია მანჯგალაძეს, თამო მოსიაშვილს და მაკა დავითიძეს სტუდია: SPACE

მეტი ინფორმაციისთვის და პროექტების სანახავად ეწვიეთ ვებგვერდს: www.archiaward.com

2018
A New Light
CHITECTURAL
FESTIVAL
2018